



პვირა, 22 იანვარი 1917 წ.

ადამციის აღმისი: თფილისი, ოლღას ქუჩა, № 6.

ფანქარი № 4

# ფანქარი


№ 4

მ თ ბ რ ა ს ი 1917

შინაბასი: მოწინავე. მორიელი—ოპის მიმოხლვა. შექნჯალღებულა—შექნჯალღებულს წერილები. ვალ-შალიკაშვილი—ხავი. ზუფუნა—დაგვიანებულა მილოცეპი ფუთიდნ. ღ. ლომთათიძე—საჯელი, ძამია—მეც

ჟღა გავიქო. ეშმაკი—მომენტის საკითხი. შანთი—შარადა. გოგია—შაკაი ქუთუთრაში. დია—ამასაც თუ მოგესწრობოდ... —ფოსტა. მარმბბშუმბი: ჟადარიგი. სპარსეთში...

## გონივრული თადარიგი



ყველაზე უფრო მკვიანინხალბი

# თჳილისი, 22 იანვარი

# ოპის მიმოხილვა

**ზ ა ბ ი** ქვეყანა დარწმუნებულია იმაში, რომ თანამედროვე ომი დიდ მსხვერპლს თხოულობს. ეს ასეც უნდა მომხდარიყო.

ვინაიდან უფულოთ რომელი უსფელი იჩხუტებას ესეც არ იყოს, ვინ გიეი იქნება თოფი და ტყვია-წამალი მუქათ მოგცეს, რკინისა და უბრალო ტა-ლახის გზები გაგიყვანოს ასეთი ქველმოქმედი ჩვენ არ გვევლება არც ამერიკასა და არც აზიაში. სა-იღუმლოს არ შეადგენს არც მეორე მხარე ომისა, რომელიც აგრეთვე სახეში მისაღება. მე მოგახსენებთ ცოცხალი ძალის განადგურებაზე. დღეს აშ-კარაა ისიც, რომ ომში არა ერთი და ორი კა-ცი ესალმება ამ უფთისოფელს. მაშ რა გამოირკვა? გამოირკვა ის, რომ ომი საზარალოა, რის დამ-ტკიცებაც უმთავრესად შეადგენდა ამ წერილის მი-ზანს.

ჩვენის ღრმა რწმენით, აი, სწორეთ ამიტომ გა-იყო კაცობრიობა ორ ბანაკათ. ერთი ბანაკი მოით-ხოვს „ზავს“, მეორე ბანაკი მოითხოვს „ომს ბოლომ-დი“. გავერკვეთ ამ საკითხებში.

— რას წარმოადგენს „ზავი“?

— ზავი წარმოადგენს მშვიდობის დამყარებას, ანუ ომის დაბოლოებას.

— რას წარმოადგენს „ომი ბოლომდის“?

— ცხადია, არსებითად ესეც ომის დაბოლოე-ბას გულისხმობს და მაშასადამე ზავის ჩამოგდებასაც.

ამგვართ მთელი კაცობრიობა არსებითად ერ-თი მიზნისკენ მისწრაფის: მას უნდა ომი დაბო-ლაოს ე. ი. ჩამოგდოს ქვეყანაზე ზავი, როგორ მივალწვეთ ამ სანატრელ მიზანს? აი საკითხი, რომ-ლის გადაჭრაც ძნელსა და რთულ საქმეს წარმოად-გენს. პირველ ყოვლისა საქიროა ქვეყანაზე არ იყო ნეიტრალური სახელმწიფო, ვინაიდან მათი ინტე-რესი სწორეთ რომ ომის დაუბოლოვებლობას მოით-ხოვს. თუ ომში ჩათრეულ იქმნა: ჩინეთი, ამერიკა, სპარსეთი, ავღანისტანი, ბელუჯისტანი, ბრაზილია, ჩილი, პერუ, მექსიკა, აბესინია, ისპანია, შვეიცია, ნორვეგია, დანია, პოლანდია და საბერძნეთ, სრუ-ლი იმედი უნდა ვიკონიოთ ომს მალე მოეღება ბოლო და ზავიც ჩამოვარდება.

კარგა ხანია ჩვენ ჩვენი მკითხველისათვის ამ უსაშინელესი ბრძოლის შესახებ არაფერი გვითქვამს. მიზეზი?

მიზეზი მრავალია. უმთავრესათ ჩვენ გესურდა მკიერ ხნით მიგვეშვა თავის ნებაზე მოწინააღმდეგე მებრძოლთა სტრატეგები, გვენდოდა გვენახა, თუ რას იზამდენ. ჩვენმა განზრახვამ ჩინებული ნაყოფი გამოიღო: მოწინააღმდეგენი დაიხნენ და თითქმის შეჩრდენ, საით წავიდნენ აღარ იციან. დღეშათა საავენტრეები ერთხმად აღნიშნავენ, რომ როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის, როგორც ჩრდი-ლოეთის, ისე სამხრეთის, როგორც ჩრდილო-აღმო-სავლეთის, ისე სამხრეთ-დასავლეთის და როგორც ჩრდილო-დასავლეთის აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლე-თის ასპარეზები დაიღუმდენ. არც ერთ თეატრს, არც მაკედონიისას, არც იტალიისას, არც რუმინიისას, არც კარპატებისას, არც რუსეთისას, არც საფრან-გეთისას, არც ვეგოპისის და არც კავკასია-მესო-პოტამიისას სიცოცხლე აღარ ეტყობა. ზამთრის სე-ზონი თითქმის მიწურულში მივიდა, ხოლო თეატ-რები სღუმან.

მაგრამ შემდარი იქნება ვინც იფიქრებს, თით-ქო ეს დღემოდი მუღმივი იყოს. არა და არა. ზან-თრის სეზონი გაზაფხულისა მოსდევს, გაზაფხული-ლისას ზაფხულისა და იმას კიდევ შემოდგომისა, ვიდრე ისევ ზამთრისას არ მივებჯინებოდეთ. გაზა-ფხული გამოცოცხლებს ხანაა და ჩვენც სრული იმედი გვაქვს აწ მიღუმებული თეატრები ხმას ამო-იღებენ.

— სად გავარდება პირველი მუხი?

ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი თე-ატრი უწინ ახმაურდება. არსებითად ეს მომავლის საქმეა. დღეშათა საავენტრეები ამის შესახებ არეულ ცნობებს იძლევიან და ამიტომაც იძულებული ვართ გულის ფანტკალით ვვლოდით, რას გვეტყვის მომავალი. აშკარაა, თითველი ცალკე თეატრი ვაფა-ციციებით ეშხადება მომავალი სეზონისათვის, მაგრამ უმთავრესი საქმე მოსწრობაშია. ვინც უწინ მოეშხადება, ის უწინ ამოიღებს ხმას და მაშასადამე უშხადებულზე უფრო მომხადებული იქნება.

დარწმუნებული ვარ მკითხველს კარგათ ეხსო-



მება ჩვენი აზრი რუმინის თეატრის შესახებ. იქ ამკარათ იყო გამოთქმული, საით დაიხვედა რუმინის ჯარი, უკეთუ მას დასავლეთ-სამხრეთ-ჩრდილოეთით მაკენზენის არმია მოაწებებოდა. და აი, ჩვენ უკვე ვხედავთ, რომ ჩვენმა პატარა მოკავშირემ თავისი არმია აღმოსავლეთით გადმოაჯგუფა წინასწარ გამოადგებულ მდინარე სერეტზე. ჩვენ იმავ წერილში (იხ. „ეშმაკის მათრახი“) მკაფიოდ აღვნიშნეთ ისიც, თუ რა გზას დაადგებოდა სერეტის ნაპირებს ამოფარებული რუმინელთა ჯარი. ჩვენ ვამბობდით: — თუ მოპირდაპირემ შეაჩერა იერიშები, იმ შემთხვევაში ამოფარებული ჯარი ფეხს მტკიცეთ მოიკიდებს მდინარე სერეტის მარცხენა ნაპირზე, ხოლო, თუ ნემცებმა გარდევს ეგ ხაზიც, მაშინ რუმინის ჯარი ამოეფარება მეორე მდინარე პრუტის ნაპირებს. ეს დებულებაც სრულად გამართლდა.

ჩვენ აზრი სავსებით გამართლდა აგრეთვე მაკედონის თეატრის შესახებ. მე და ჩემთან ერთად ყველა ქართველი სტრატეგები იმ აზრისა ვიყავით, რომ გენ. ფალკენჰაინი არ მოუცდიდა ავღრების გადაღებას და სარაილის წინააღმდეგ გაილაშქრებდა. ამას მოითხოვდა როგორც სტრატეგიული, აგრეთვე პოლიტიკური და ტაქტიკური საღი მოსაზრებაც. გენ. ფალკენჰაინი მართლაც წავიდა მაკედონიაში, მაგრამ საჩხუბრათ აღარ შეტერებულა პირდაპირ ათინას გაემგზავრა.

ჩვენ ვავათავეთ. ასეა, თუ ისე, ომის მიმდინარეობა ერთგვარ ლოდიკურ კალაპოტშია მომწყვდეული და ამით აისხნება ომის მიმოხილველთაგან მისი ასე ვარკვევით წინასწარ განჭვრეტა.

მორკიალი.

### შეახანჯალეგული წერილები.

კაცი როცა შექანდება,  
შეურავებს, შეუპრინტავს,  
ხოგჯერ იგი იმ ბოღვაში  
ბკვიანურსაც იტყვის ხოლმე.

სოლ. ზურაბიელიძე

აბა დელი, დელი,  
რა ახალი წელია...  
კუჭი მეწვის, წელია,  
მქალი შამომელია...  
სახლში შამო, მელია!!

აბა დელი, დელი,  
მოკვდეს ბესარიონ დედელი...  
რა დრო დადგა და რა წელი...  
ქალო, სულ რომ ძროხას წველი,  
თუმნად მომე ათი ყველი...  
ვინ ხილეთ წელს ლეექელი??!  
პურის ფქვილი მოსაზელი  
ვერ ვიშოვნე, ვერ შევქელი...  
რა შიმევა ნივთის ძელი...

ია, უა, ია, უა, ია, უა, უა, უა.  
მიფათქუნოს თავში ქუა...  
ფურნის წინ... და პურის ყუა...  
იასონმა მოგვაც — ყუა...  
ცოტა ფული გამოგვაც — ყუა  
რა ქნას, ჯიბით ვერ იგ — უა...

მიხა, ლაღო, კიღომ ლაღო...  
ხან ამბროსიც... ხარტონი...  
კარტს არიგებს... მოღით ფსონი...  
„წასვენეს სპირიდონი“...  
რა კარგია ღირის ქონი...  
თლად გაძვირდა წელს საბონი...  
ქებულია შალით ონი...  
პირ ახვეულ ქალით ხონი...

ვაი დედააავ!.. ვაი, ვაი!..  
მომეწვევს ეს ტრამ — ვაი...  
მე მომდევს ავტომობილი,  
გამიერთოს სურს ძვალ-რბილი...  
არსად არის პურის ფქვილი...

მჩხვრავს ტვინში... და ავტირდი...  
ქალო მატყობ, რომ ავტირდი...  
მოგატყუე... თუკ დაგპირდი...  
რადგან წინეთ ქვეყნათ ღირდი,  
მაინც, რამე გამპირდი,  
მოსკოვისკენ მიმაქვს სპირტი...

ვოდელია რანუნი,  
ვოდელია რანინა,  
მტანჯავს ტვინის ფათქუნი...  
შემიყვარდა მარინა...  
ჯავრმა მთლად შემარინა...

როგორ მომწონს ეს ბათუმი...  
აქ, ბერსა აქეს კეუ უმი...  
მათ შესახებ ჯერ ვარ ჩუმი...  
თუმცა ისე ვარ ყარყუმი...

ქალი დავითხოვია...  
ყოჩაღ, ბიჭო, „უბრავეა“  
ეი, ბოლუ, ტი, ბრავე...  
დღია, მენია, ვსია ტრინ-ტრავე...

აბაჯალაშული.

(შემდეგი იქნება)

## ზ ა ვ ი

იმერელი და სომეხი შეხვდებიან ერთმანეთს  
და მსჯელობენ ზავის პირობებზე.

იმერელი—Знаишь слухи Германия говоришь—миръ давайо.

სომეხი—Што говоритъ—давайо?

— Миръ... Миръ...

— Миръ што такой?

— შე კაცო, миръ какъ не знаишь? миръ, миръ!

— А, знаимъ, знаимъ! миръ—энта усю...  
земла, гор... мори...

— Энта тоже миръ, მარა ეнта другой  
миръ,

— А знаимъ, знаимъ!.. миръ—энта ко-  
тори на лобъ помозаль?!

— ვე შე კაცო, თლათ ყრუი არ ყოფილხარ!  
Миръ какъ ни знаишь? Миръ—энта... Миръ  
Миръ. Вотъ ти мене морда побиль, я тебе  
говорить— „Здрасти“, ти менѣ говорить—“мой почтенія“  
ти рука давай, я рука давай—და გათავდა!

— А, теперь знаимъ! Энта наши Парсегъ  
Погосу десить зубъ вибилъ, потомъ садили  
да вино мѣსტѣ випили... Скажи пожалуйста,  
ти учени?

— Канешно што учени! На приходской  
школа на спервой клась четыре годъ училь.

— Ва, ва, ва!.. Скажи пожалуйста, Гер-  
мания зачемъ говорить, миръ давайо!

— იმე, Зачѣмъ да, руски большой кулакъ  
показаль-да, Германия испугалса-да оступленія  
хочить.

— Оступленія што такой?

— იმე! оступленія какъ ни знаишь, შე  
კაცო... დაწაბთება არ იცი? Назадъ, назадъ!

— А, знаимъ, знаимъ! Энта какая наши  
эшакъ на 'тачку... Слуши—Германия говоритъ  
—миръ давайо да руски ни дасть?

— აბა, не даіотъ!..

— Зачимъ ни даіотъ-да Германия гово-  
ритъ—я много кушить надо-да много даваіо...  
Руски говоритъ—я тоже много кушить на-  
до—много даваіо.

— Ва, конешно, слуши, руски много  
кушить надо. Знаишь, я руски купецъ ви-  
диль,—во такой животь ему биль.

— Энто што слуши, я руски купецъ  
видиль—купецъ здѣсь сидиль—животь—  
тамъ; Конешно, много надо кушить. Руски  
чалавикъ усіо кушить: Австріа кушить, Гер-  
мания—кушить, Турція—кушить, Персія—ку-  
шить

ეშო кушить хочеть—აბა!

— Ва, ва, ва! Эи Богъ правда слова го-  
воришь.

— Ia знаи—да говору—ბატონო!

— Теперь—руски не даіотъ?

— Конешно што не даіотъ, слуши! Гер-  
мания говоритъ—Полца давайо, Сербія давайо,  
Белгіаць давайо, Руминіаць давайо! Усіо да-  
вайо-да, какъ можна?

— Ва! правда ეнта ни можна!

— Ишо Чернагоріаць давайо!

— Ва, Черногори тоже?

— აბა!

— Руски ни даіотъ?

— Конешно ни даіотъ!

— Слуши, скажи ему, пускай даіотъ.

Руски на што чернагоръ? Разви эму мала  
эсть на Чіатуръ, на Ткибулъ? Эибогу да  
волна!



— Ви думиль Черногоріа —энта марга-  
нещъ?

— Ва, а што?

— Энта имперіа, имперіа...

— Имперіа? такой болшой, какъ Ан-  
глички?

— Такой балшой—аа!

— Энта Чернагоріа гдѣ лежитъ, ни  
помнимъ?

— შე კაცო, აბა што помнишь? Миръ ни  
знаишь, оступленіа ни знаишь, Черногоріа  
котори на Сибирь лежитъ ни знаишь!? აბა,  
што знаишь?!

ზალ. შალიკაშვილი.

# შოთი

(დაგვიანებული სახალწლო და ნადრევი საყველადო  
მილოცვა).

ყოველგან და ყველაფერზე  
ყოველ წამში ვინც დარბოდეს  
ყველაფერი დაუბრკოლდეს  
რაც კი გამოიწყოს საქმე.  
ს. ზურგიელიძე.

(ცხადია, ცუდათ შესრულდა  
ბატონ ეშმაკის ბრძანება,  
რომ უნებლიეთ მომიხდა  
მილოცვის დაგვიანება.  
მოწოთ შეავს მთელი ქალაქი  
თავის ჯიუტი „თავითა,“  
დამკველათ პონტო-ფაზისი  
ბოძალი შესართავითა,  
მსაჯულათ მუშათ უბანი  
სახელდობ „დიდი კუნძული,“  
რომ შეაფასონ ქუჩებში  
ჩემი უვადო ძუნძული 1)

## ქალაქის კოშკს

წარსულის უტყუო მოწამვე,  
დამსდურო მომავალისა,  
დარაჯო პონტო-ფაზისის

ისტორიული ვალოზა,  
აწმყოზე უმადურობით  
გამოგინურავს კარები,  
აღარ რეკს დროთა ნიშანი  
შენი სიფიზლის ზარები,  
უიმედოთ ხარ, ეული,  
მარტო ხელ ამირბარითა,  
გამხნევდეს ოცი ათასით  
„ქართული თეთრი“ ჯარითა.  
ოცდა ათს კიდევ მოვლის  
ახალი ლიანდაგითა  
სარდალი თუ გვეყოლობა  
ხაზს ვავამერებთ მაგითა,  
მარა სარდალს რომ კარებზე  
ფეხები დაუხოცია?  
(მარტო აღლუმი არ კმარა,  
როდესაც რიცხვი-ოცია)  
„შავი სამეფოს“ რეგენტი  
თუმც მავს კი გვეცილება,  
მარა უსარდლოთ დავდება  
ჩვენი მან რატომ ვინება?!  
„ციხე-კოშკს უნდა სარდალი,  
სარდალსა ლონისძიება.  
ჯარის აბუჯათ ავდება  
ძნელათ თუ შერჩეს ვინმესა“ 2).

## თვითმართველობას

ხმოსანთა კრებას გიქებენ,  
ვით ჯვარელს ცხვრების ფარასა  
ერეკებიან არ იტყვის:  
არცა „ჩიკა“, არცა „არასა“.  
შემადგენლობა ამათი  
ეშმაკაცო იცის რაც არი  
წინ გამგეობა მიუძღვის  
(ცხვარის ჯოგს ვითა „ქაქარი“ 3)  
არჩევანი ქნეს უფროსის  
(კარგათ იყო, თუ ავთათ  
თუმც ისევ ძველი აკურთხეს  
მწყემსათ და მოურავათა)  
შენი რაც უნდა უმტკიცო  
დაშვებული აქვს ყურები

1) ძუნძული „ბეგამს“ ნიშნავს.

2) სოლომონ ზურგიელიძე.

3) ქაქარი ჯოგის წინამძღვარი კაცი.



თავისას შერება, თუმცაღა  
ერთგული ნამსახურები  
არ დაუფასა არავინ.  
პირიქით ლანძღვა გინება  
მძიმე საპალნე აკიდულს  
მოდლი და ნუ გმწყინება.  
თუნ სანახევროთ სკოდნოდათ  
თავის როლებს თამაში  
ვინ გვაჯობებდა ფოთელებს  
შაქრის და პურის ჭამაში?  
ჩვენი ულულუა სხვებს მიაქვს,  
ნერწყვი გვაშრება პირზედა  
მალე შემშილიც გვეწვევა  
სხვა მრავალ გასაქირზედა  
პურის მაგიერ შეშას სჭრით  
შაქრის მაგიერ „შაალღებსა“  
თუ მოსაგებით ისტუმრებთ  
ჩვენი ქალაქის ვალღებსა  
(ისე აშენდით ოჯახში)  
ეს კიდევ მესმის, კარგია,  
იჯარადარი საბჭოში  
სხვაფორიე ზედმეტი ბარგია.

**ხაურთიერთო კრედიტის ბანკს**

ბღებ მიცემის არგანოვ  
ეს თქვენი ბუზგაუტერია  
ენუქას ანდერძს წაგავს  
“პასივში“ საღაც სწერია:  
„დღესტი ტისიჩი კრედიტი“  
უპრავას იღვეს ვალათო  
ვაი მის ვასაც დაედვას  
აგი ცოდვათ და ბრალათო.

**ქალაქის ბანკს**

ჯერ არ შობილო მრგვათლეს  
„აბრაამათ“ ნაწოდებითა,  
თან შენს მომავალ აღმზრდელებს  
ვერ ვისხენიებ ქებითა.

**წვრილ კრედიტს**

ჯერ ჯერობით კარგი ხართ  
წვევრებსაც კი გვარგინართ,  
მარა საბჭოს კრებაზე  
გამგეობის ნებაზე  
მისაგების გაყოფას  
რომ ეტყოდეთ ვარყოფას

საზოგადო წესია  
თქვენთვის უკეთესია.

**ნავთსადგურის მუშებს**

კურტანი გექცა მუთაქათ,  
ზურგზე შემშილი გკიდა  
გემებს მოვლით, არა სჩანს,  
თქვენი კრიზისი ღიღია.  
პოლიტიკურათ ძილში ხართ  
სიზმარში პრაქტიკულათა  
მტრებს რაღას ვერჩით თავის ბედს  
თითონ ეპყრობით მტრულათა

**რწმუნებულებს**

ამხანაგურათ მოსულხართ,  
დამდგარხართ ხაზინთანა  
რით განსხვავდებით იმთვან  
გინც იყვენ თუვენზე წინათა?!

**„ეროვნულ მუშებს“**

სახელს „ეროვნულს“ ატარებთ,  
საქმე სიტყვაზე ჰკიღია  
ნამღელიათ სმა და თამაში?)  
თქვენი ცხოვრების ხიღია

**რწმუნებულს**

ორ ხელობას რომ ატარებ  
არ გიწონებ გეტყვი სწორეს  
„ეთირი კოფი“-ს გაეყარე,  
ან ერთსა და ან მეორეს  
**მარგანეცის მუშებს**  
სჯობს ისევ თქვენი სახელიც  
მონათლოთ „ეროვნულათა“,  
დემოკრატიულს ყველაფერს  
რადგან უცქერით მტრულათა

**პირველ რწმუნებულს**

„ვინც რა უნდა თქვასო  
წისქვილმა კი ფქვასო“

**მეორე რწმუნებულს**

„ზოგისა ბამბა ჩხრიალებს,  
ზოგის კაკლიც არაო“  
რას უცდი, კაცი ჯვარ ნაწერ  
ცოლსაც კი გაეყარო.

) არა სცენაზე, არამედ საყვედში



**ხე ტყის ქარხ. მუშებს**  
 ხან მხერხავების მონა ხართ,  
 ხან მოხვალთ ბრძოლის მადაზე.  
 გისურვებთ: ფასი გაზეთის  
 გადაგეხადოთ ვადაზე.

**ჩვენს კორესპოდენტს**

თუ არ იქმდი რათ იღვეი  
 თავზე ხრონიკების წერა?  
 და ამ ბოლოს სანატრელათ  
 გაგვიხადე შენი მხერა.

**ინტელიგენტებს**

სიტყვით ქვეყანას აშენებთ  
 საქმით ხუხულაც კი სჭირდეს,  
 არ შეიყომა, სმა, თამაში  
 კიდევ უფრო გაგვიხშირდეს.

**წ. კ. გამგეობას**

თუ არაფერს აკეთებდით  
 შკოლა რატომ წახდინეთ?  
 სრული საზოგადო კრება  
 ერთხელ მაინც მოახდინეთ.

**ღრამაბ. საზოგადოების კრებას**  
 რაღათ გინდათ ეგ სახელი  
 წარმოდგენებს თუ არ მართავო  
 რომ არ იყოთ ის სჯობია,  
 ყოფნით საქმეს უფრო ხლოართათ.

**ბუტუნას სააგენტოს.**

მრავალ გვარი დაპირებით  
 მკითხველები მოგვაცუყე,  
 შეშინდი, თუ ამ სირუშეს  
 რა აზრი და კუაუ სთხუე?

**მოარზიყე ქალებს.**

ჩემი გრძობის მემანქანვე  
 და გონების ამირბარო,  
 თქვენს თვალეშში მოქუხს ჩემი  
 უკვდავების მჩქეფი წყარო.  
 ტანჯულ სულის ანგელოზო  
 დაპრილ გულის დიქტატორო,  
 დედოფლოურის სიამაყით  
 გაბუტული რომ გაქვს დორო<sup>1)</sup>  
 მსურს იმაზე მოგილოცო,  
 ჩამომენგრეს თუგინდ ზეცა,  
 და ცოდვების სანაწულში  
 ქვეშ მოვექვე თქვენთა მეცა.

**გუბუნა.**

<sup>1)</sup> დორო — დონიჯიანი ტუბები.

# ს ა ს ზ ე ლ ი

„მულო, შენ გეუბნები,  
 რძალო შენ გაიგონეო“

**ბალხური.**

სიღამო უამს, შინ დაბრუნდა მძიმე შრომით მონაქანცი  
 დამშვეული ყანის მუშა და ხელ მარტო სოფლის კაცი.  
 ცოლმა ვახშმათ დაახვედრა მქალი ცოში, არ ნაცხოზი  
 და გლეხს მშვიერს ამ ამბავმა, მოაურია გულზე ცოფი.  
 წამოვარდა გაშმაგებით, წამოავლო კეცა ხელი,  
 და გადაქრა უსინდისოს და გულ ცივ ქვას მან წყველი.  
 მიაძახა:— ეგ იმისთვის, რომ ვერ აცხოზ კარგათ მქადსო,  
 ევაც მისთვის, ევაც მისთვის; შენი გასწორება მწადსო.  
 ცოლმა იგრძნო ზრახვა ქმრისა; იცნო სიტყვა გადაკრული,  
 და წყველი მისდა წილათ მიიჩნია მან დაკრული.  
 — კმარა, კმარა! ნუღარა მცემ... მეყოფა რაც დამკარო...  
 არ დაგხედება აწი მქალი არც ცოში, არც დამწვარო.

**გიორგი ლომთათიძე.**

## ქართველთა და ვაჭმადიანთა საკითხი



მაშინ, როდესაც ბაქოელი ექიმი ბ-ნი სულთანოვი აკარგებისა და კობულეთელების თურქებთან ვარდაქმნას ღამობს, ჩვენი სახელოვანი თანამემამულე გრ. რობაქიძე თვით სპარსეთის შუაგულში შეიქცა და თავისი ლექსებით აღვიძებს მათ გულში ვაჭარველების სურვილს.



# მეც უნდა გავიჭრა!

გულშინ წინ ნათლია ჩემის ბიძაშვილის მულის ამიდაშვილმა წერილი მომწერა, ჩემი სამშობლო საფლიდან.

აი ის წერილიც.

„ძვირფასო ნიკო! შენ მაგრა მეიღვი ფეხი მაგ ქალაქში, რომ შენი სამშობლოს შესახებ არაფერს აღარც კითხულობ. სოფ. ბანძაში დიდი ამბები. წარსული წლის 16 ნოემბერს ყაჩაღთ გავარდა მამა შენი. სოფელი დიდ საგონებელში ჩააგდო ამ ამბავმა, რადგან მიზეზი ვერ გვიგეს. 21 იმავე თვეს მას გაჰყვა დედაშენი სალომეც. იგი წაღლითაა შეიარაღებული და შიშის ზარს ჰგვრის ხალხს. 25 ნოემბერს გავრცელდა შემადრწუნებული ამბავი, რომ ყაჩაღთვე გაჭრილან ბაბუა შენი სერაფიონ, ბებია შენი მარიამითურთ, ხოლო 26-ს საღამოთი მათ შეერთებინა შენი ბიძები, ბიკოლეში და ბიძაშვილები. იარაღის არჩევაში ბევრ დროს აღარა ჰქარგავენ: სოგს თოხი უჭირავს, ზოგს ფოცხი, ზოგსაც უბრალო ჯოხები. თავს ბანძის მახლობელ ტყეში აფარებენ. 27 ნოემბერს მათ მიეკედლენ თქვენი ამიდაშვილი და დედაშვილები. გულგრილად ვერ შეხვდენ ამ გარემოებას ვერც მამა თქვენის, დედათქვენის, და თქვენი ბიძების ნათლულები. ყველანი გაიქრენ ტყეთა და მამათქვენის რაზმს შეუერთდენ. სულ ბოლოს გავარდენ თქვენი და ბიძა თქვენის სიძეები თავისი ახლო ნათესავებით. მოსალოდნელია ახლო მომავალში მათ შეუერთდეს ბიძათქვენის სიძის სიძე ბოქაული თავისი დარაჯებითურთ და რაც უფრო საყურადღებოა, მისი შვილების ნათლია ბ-ნი მაზლის უფროსიც. ამ წერილის მიზანია, შენშიაც აღედგრა გრძნობა რომ

მყის დაუტყვეო ქალაქი და შემოგვიერთდე ჩვენ. იმედია წამოიყვან ყველა შენს მახლობლებს და კეთილის მსურველებსაც. მარადის შენი კიმოთე“.

ეს წერილი რამოდენიმეჯერ გადავიკითხე და არა ერთხელ გადავწყვიტე გავარდნა, მაგრამ ეგ ოხერი სიცოცხე მამბრკოლებს. რა გამაძლებიბებს ამ ყინვასა და თოვლში სადღაც ხის ფულუროში?.

ძაშობა.

# მოგონების საკითხავი




მუხაკი.

## მ მ მ მ მ მ

მდინარე იგი, რომელიც შარადისათვის გვეკრია, მყინვარის მთაში გამოდის ჩვენსკენ უჭირავს პირია.

მგონებდა ხშირათ მასზედა ლექსები დაუწერია. ვარს არე მარე არტყია სიმშვენით აუწერია. შარადისათვის, ამ სიტყვის გვეკრიდება სამი კბილია, წინა მხარიდან დიადის სიფრთხილით მოძრობილია.

სამკაულია ბროლისა ზამთრისგან განაქედავი ტრემლათ იღვევა საბრალოთ, მხურვალე მზისა მხედავი.




ამასაც, წინა, მოგსტაცოთ  
ობოლი ერთი მარცვლილი  
ზურგზე ავეკიდოთ შარადს  
ვითარცა გამოსაცვლი.

უკვე გათვდა, შარადა  
შეკრულია კინძულია...  
იმისი ხელის გამწყობი  
არის კაენი კრულია \*)

ომამდე იგი რუსეთში  
იყო ყოვლისა მპყრობელი,  
„ბენცელა“ ბიუჯეტისა  
ის იყო დედა მშობელი.  
იფეთქა ომმა, მრისხანემ,  
შეიქნა ტყვიის ზუზუნნი...  
სურათი გამოიკვალა,  
მთავრობამ მორათო წუწუნნი.  
თუ გვინდა მტრისა შემუსვრა,  
არ დაგჩეთ მისგან ძლეული,  
უპირველესი საქმეა  
მოგსპოთ ეგ სითხე წყეული.  
სდევნიან. მაგრამ ვერავენ.  
ვერა დააკლო იმასა,  
საცა კი მოველინება  
აწვიმებს ფულის წვიმასა.

**შანთი.**



\*) ეგ სიტყვა პოეტისგან  
სიმწვავეთ გადაკრულია.

# შაქარი ჭიათურაში

სცენა I მოქ.

(სცენა წარმოადგენს დუქანს, რომლის წინ აუარებელი ხალხია დაგროვილი სხვა და სხვა ერთეულების და სქესის. ელიან დუქანს გახსნას, რომ შაქარი შეიძინონ).

**გლეხი.** რავე დღეიჯერო ახლა კომპერატისა იმდენი ძალა არ ქონდეს, რომ თვითონ მეიტანოს შაქარი და ამ ვაქრის ხელში არ ჩავგადოს!

**ინტელიგენტი.** უკუდმართათაა მოწყობილი წუთი სოფელი, ჩემო ბიძა. ეს ვაგონებით შაქარი, რომელსაც ეხლა ეს ვაჭებატონი ჰყიდის კოოპერატივს ჰქონდა გამოწერილი და ფულიც დიდი ხნით გადაგზავნილი, მაგრამ რაღაცა მანქანებით მაგან ჩაიგდო ხელში და დაწესებულებამ კი ვერა!

**გლეხი.** იი! ალბათ დიდი კაცია ვინმე, თვარა ღრუბერნატორი რავე ენდობოდა!

**ინტელიგენტი.** დიდაა თუ ბატარა ასე კია და!

**გლეხი.** (თავის ქნვევით) კი ბატონო, კი დიდა. იმხელა სათვალეები აქვს თვალეებზე მიფხობილი, რომ ნამდვილათ დიდი კაცი უნდა იყოს. (ამ დროს გაიხსნება დუქანის კარები და გამოდის სათვალოსანი თავისი ნოქრებით, ხალხში დიდი ჩოჩქოლი და ჟრიაშილი ასტყდება).

**ხმები.** ნიკო, ბატონო, ნიკო!

**ნიკო.** სიჩას, სიჩას, გასპადა.

**ხმები.** გასპადინ ნიკო, პარუმ ნიკო, უსტა ნიკო, ალა ნიკო, სენიორ ნიკო, მილორდ ნიკო!

**ნიკო.** სიჩას, სიჩას. (ხალხი მიზღვევებულია მოაჯირზე. ფულები უკავიათ ყველას და ნიკოს აჩნებენ ხელში) ბატონებო, აი იქ ჩემთან ჩაიწერებით, ხოლო მეორე სტოლთან მიიღებთ შაქარს.

**ხმები.** მე ჩამწერე მე, ბატონო ნიკო.

**იუსუფა.** გოსპოდინ ნიქოლაი, ფული მოგსა, შაქარი მამსა.

**ხალხი.** ორი ფუთი, ტრიცატ ფუნტოვ, მეც ფუთ, იგირიმი გირვანქა...



ნიკო. სიჩას, სიჩას.

**ხალხი.** (მიაცივდებო და ეხვეწება) ბატონო ნიკო, გოსპოდინ ნიკო, კნიაზ ნიკო, ბარონ ნიკო, ლორდ ნიკო, გრაფ ნიკო, უსტა ნიკო,...

ნიკო. გასპადა თქვენ სურვილზე არ დავდივარ მე. მოგიდით თუ გნებავთ ათ გირვანქას, ოცს-ოცდა ათს. ვისაც არ გნებავთ მიბძანდით.

**ხალხი.** (ყვირილი და ჩოჩქოლია) გვინდა, გვინდა!

ნიკო. ოჩერედით იყოს, ოჩერედით.

**ხალხი.** იყოს, იყოს!

ნიკო. (გადაპხედავს ხალხს და შეკნიშნავს შორს მდებარე მის ნაცნობ თავადს. ეძახის) Князь, сколько желаете?

**თავადი.** Два пуда, два. (გაარღვევს ხალხს და იღებს კვიტანციას).

**ხალხი.** ოჩერედით იყოს, ოჩერედით! (დიდი ჩოჩქოლი და ყვირინა შეიქნება).

ნიკო. სიჩას, სიჩას. (უძახის მის ნაცნობს ქალიშვილს) Барышня сколько Вамъ угодно!

**ქალიშვილი.** Полупудора пуда, полупудора. (ისიც გაარღვევს ხალხს და იღებს კვიტანციას).

**ხალხი.** ოჩერედი, ოჩერედი, გოსპოდინ ნიკო, ბატონო ნიკო!

ნიკო. სიჩას, სიჩას. (მღვდელს) Батюшка, сколько желаете?

**მღვდელი.** Два пуда, два. (საჩქაროთ აბაშ ჯორს და ხურჯინის ხსნით მირბის კვიტანციის ასაღებად).

**ხალხი.** (ყვირით და ყვირილით) რა ამბავია ეს უოჩერედობა! Что такое, что за безобрази!

ნიკო. სიჩას, სიჩას.

**იუსუფა.** (გაჯავრებული) სიჩას, სიჩას! როდის და სიჩას! შენ ბარიშნას და მოგსა, გინიაზი და მოგსა, მულლა და მოგსა. რატომ ჩემთან არ მოგსა შეპარი?!  
ნიკო. Молчи, молчи, не болтай!

**იუსუფა.** ა ზანემ მენე ბალთაი! შენთან დე-

ნი დალია, ოცა დალია. **ექსპორტიორი.** დალია და შენ ჩემთან შეპარი არ მოგსემია?! შული თვე ჩემთან ჩაი არ დალიოს შენთან სურსესული არ არის, შენთან ღმერთი არ არის!

**ხალხი.** (იუსუფას აჩერებენ) კარგი, კარგი. (ნიკოს) გასპადინ ნიკო, ბატონო ნიკო. ჩავგწერე, ჩავგწერე.

ნიკო. სიჩას, სიჩას. (უძახის ექიმს) Господинъ докторъ! сколько Вамъ угодно?

**ექიმი.** Два мѣшка, два, (მიდის უკანა კარებიდან და მეშებს გამოატანიებს ორ მეშოკს).

**ხალხი.** ეს აბუჩით ავღებოა. ეს ინჩხაბარე! Что за безобрази, что за насмѣшка!

**ექიმი.** ბატონებო! ბატონებო ნიკომ ბალნიცას დაუთმო 50 მეშოკი შეპარი. ეს ორი მეშოკი მართალია ჩემთვის მიმაქვს, მაგრამ ბალნიცის ანგარიშში და მე მგონია თქვენთვის საწყენი არ უნდა იყოს.

**ხალხი.** (ყვირილით) არ შეიძლება, არა!

**იუსუფა.** იოხ ჯანუმ, იოხ. შენთან შევიდმეტი ფული ზაილოს და ჩემთან ერთი სტაქანი ჩაი არ დალიოს! (ხალხში დიდი ჩოჩქოლია. ისმის საშინელი უკმაყოფილება).

**მანდილხანი.** ბატონო, ნიკო! ბავშვები დამიწყდა სიმშლით. ერთი გირვანქა შეპარი მომეცით ღმერთო გაღვდებოდებო.

ნიკო. სიჩას, სიჩას, (ექიმს) Господинъ докторъ! можетъ быть еще желаете?

**ექიმი.** Нѣтъ, нѣтъ, пока довольно.

**ხალხი.** (აღვლევებული ყვირის) რა ამბავია! ეს ექიმი, კნიაზი, მღვდელი, ბარიშნა! როგორ ჩვენ ხალხი არ ვართ!

ნიკო. სიჩას, სიჩას, (ექსპორტიორს) Господинъ Вамъ сколько?

**ექსპორტიორი.** Одинъ мѣшокъ.

ნიკო. Хорошо, (მეორე ექსპორტიორს) А Вамъ сколько?

**ხალხი.** (ყვირის) ეს საცინლოთ აგდება. Это безобразіе. Эта насмѣшка! (ხალხი იგრიანობს. ერთმანეთში აირვეიან. დიდი ყვირილი და ჩოჩქოლია).

**ვაჰარი.** (ყვირის) ვაიმე ფეხი, ფეხი!

**ხალხი.** ახია შენზე. შენ აქ რა გინდა! შენ მერე ამ შაქარს მანეთად გაყიდი გირიანქას.

**ვაჰარი.** არა თქვენმა მზემ, ჩემმა მზემ. ჩემთვის მინდა ქრისტიანო.

**ნიკო.** (ვაჰარს) მოდი, მოდი, რამდენი გინდა?

**ხალხი.** (ყვირილით) არ შეიძლება, არ შეიძლება! გააგდეთ ეს ჩაჩივი ეგა!

**ვაჰარი.** (ყოყოჩით) Что значитъ прогоняй! что я не гражданинъ что ли!

**ხალხი.** გააგდეთ, გააგდეთ! არ გვინდა, არა.

**იუსუფა.** ისტამბოლამ, ისტამბოლამ.

**ვაჰარი.** შენ ეი, დონდუზო, ხმა გაიქრე, თორემ მოვიდა ფათრეთში.

**იუსუფა.** (გაჯაგრებული) დონდუზ და შენ ვარ, ეშაქ და შენ ვარ. შენ ვის დაარტყია? შენ ჩემთან ჩხუბი გააკეთა? ქოფაქ ქოფოიოდლი! მასხარა ქოფოიოდლი! (მიწვევენ ერთმანეთზე, მაგრამ არ უშვებენ).

**ხალხი.** კარგია, კარგია, თორემ ორთვეს გაგყარით აქედან. (ნიკოს) ბატონო ნიკო, კნიაზ ნიკო, ალა ნიკო, ჩაგვეწერე პაეალუსტი.

**ნიკო.** სიჩას, სიჩას. (მანდილოსანს) Мадамъ Вамъ сколько?

**ხალხი.** (აღელვებული ყვირის) არ შეიძლება, არ შეიძლება! ოჩერედით იყოს, ოჩერედით.

**ნიკო.** სიჩას, სიჩას.

**ხალხი.** სიჩას რომელია, დაღამდა კაკო!

**ინტელგენტი.** აბა ნიკო! ეს შაქარი თუ საზოგადოებისთვის არის მოტანილი გთხოვთ რომ წესიერათ დაარიგოთ და არა ისე, როგორც თქვენ მოგვპირიანებათ. თუ ეს შაქარი მარტო საზოგადოების „მარილთათვის“ და „შეთვალა ბარიშებისთვის“ არის, გავგაგებინეთ და წავალთ.

**ხალხი.** მართალია, მართალია! ნიკო. ვისაც ჩემი განაწილება არ მოსწონს მიბძანდეს.

**ხალხი.** (დიდი ჩოჩქოლი და ყვირილია) არ შეიძლება, არ შეიძლება! ეს ძალადობაა, ეს დაცინვა! Это насиліе, Эта насмѣшка! მოგვეცი თ შაქარი. Дайте сахаръ.

**ნიკო.** ბატონებო! ეხლა უკვე დაღამებულია და ამიტომ შაქრის გაყიდვას ვსწყვეტ. ვინც ჩაწერილები ხართ და კვიტანციები გაქვთ, მობრძანდით ხვალ და მიიღეთ შაქარი.

**ხალხი.** არ შეიძლება, არა! (ყველანი ყვირიან) მოგვეცი თ შაქარი, შაქარი

**ნიკო.** არ შემიძლიან, არა. (ჰქეტავს დუქანს).

**ხალხი.** (ხვეწით) ბატონო ნიკო, უფალო ნიკო, კნიაზ ნიკო, ალა ნიკო, უსტა ნიკო...

**ნიკო.** არ შემიძლიან, არა! (მიდის).

**იუსუფა.** (მივარდება ნიკოს) არია გედირსან, ოლან?

**ნიკო.** გამიშეი, დურაქ!

**იუსუფა.** დურაქი და ქართანქალა შენ ვარ. ოჩერედი, ოჩერედი, სად არის ოჩერედი? შენთან სურსხული არ არის! გინიაზი დამისემია, მუღლა და მისემია, ვაჰარი და მისემია, დობტური და მისემია, მადამი და მისემია, ბარიშა და მისემია რატომ ჩემთან არ მოქსემია? ჩემთან კასი არ არის?

**ნიკო.** შენ გაჩუმდი გირჩენია (ხალხს) ბატონებო, ხვალ მობძანდით ვისაც კვიტანციები გაქვთ. (მიდის).

**ხალხი.** (ყვირილით) წასვლა არ შეიძლება, არა! მოგვეცი თ შაქარი, შაქარი!

**ნიკო.** (წასვლას არ იშლის) არ შემიძლიან, არა!

**ხალხი.** (ხვეწით) ბატონო ნიკო, უფალო ნიკო, ალა ნიკო, ხაზინი ნიკო, უსტა ნიკო, გთხოვთ, გთხოვთ. (ნიკო ყურადღებას არ აქცევს ხალხის ხვეწნა მუდარას და მიდის. ხალხი სასოწარკვეთილებას მიეცემა. მთელი დღე უჩურჩუტეს და შა-

ქარი ვერ იშოვებს. თითქოს თითონ იყვნენ დამნა-  
 შავენი ისე დარცხვენით მისწერებინ ერთმანეთს.  
 დიდი სიჩუმე ჩამოვარდება. მერე ყველას ცრემლი  
 მოადგება თვალზე. და ყველა აქვითინდება ვაი-  
 ვუს ხმაზე).

ყველანი. რა ლაფი დაგვესხა  
 ვერ ვპოვეთ შაქარი,  
 დროა მოვიქიროთ,  
 კისერში ბაწარი!  
 ვაი, ვაი, ვაი!

წყალთან მისულებმა  
 ვერ დავლიეთ წყალი,  
 რა გვიყო ნიკუნამ  
 დაგვიყენა თვალი!  
 ვაი, ვაი, ვაი!

ინტელიგენტი. ცოლი ჩაის აწყობს,  
 არის თადარიგში,  
 ჩვენ ათი საათი  
 ვდგევართ მხოლოდ რიგში!  
 ვაი, ვაი, ვაი!

„გოგია“. ჩაი დაგვეღუბა  
 ლუკმა გემრიელი,  
 დაგვრჩა მხოლოდ ხელში,  
 პარკი ცარიელი!  
 ვაი, ვაი, ვაი!

იუხუფა. იოხ სურსხულ-ნამუს,  
 ოჩერედი, ტაქსა,  
 მანუმ იოხ შაქარ,  
 ბარიშნას კი მოგას!  
 ვაი, ვაი, ვაი!

ყველანი. რაღა გაეწყობა  
 დავრჩით ყველა თხაი,  
 ავილოთ და ვირტყათ  
 თავში შავი ქეი!  
 ვაი, ვაი, ვაი!

გოგია.




## აბასას თუ მავანსრაგომლი ალარ მავონა

(გურიის ცხოვრებიდან)

— ოხ შენი ქირიმე ბატონ-ყმობავ შენს მომ-  
 გონს კი ვენაცვალე. ნეტაი ერთს კილო მომასწრო-  
 ბდეს ღმერთი შენს დანახვას და თუ გინდა იქინე  
 მომკლას აღარ ეჩივი.

— რა იყო არჯევან რა ამბავია? რა შეიტყვე  
 მ საშინელებას რომ ნატრულობ?

— რა იყო და სიცოცხლე იყო, ბატონო,  
 სიცოცხლე მაშინ. ხუმბრობა, თამაში, ქეიფი. ახ-  
 ლა დეიკავე აი სამ ოყიანი თოხი ყაძახმა, გადი ამ  
 ეწერაზე, კაი მიწას შენ ვინ მოგცემს, და ამ გაგა-  
 ღია სიტყვი ურტყი წელ გუუშართავთ დილიდან


 ერეკლე

სალამოში და სალამოიდან დილაში. შემოდგომაზე მუჟური თავს, მესამედს მიწის პატრონი წვილებს, ზოგს ჩიკვი შექამს ზოგს სანამდი ხარებს იშვიდევ საქონელი, და შინ მიგომა ბუის კვერცხები. ცოლშვილი ცალკე გენდურის მუშაობა არ იყო, უჩიტელს უნდა, მამასახლისს უნდა, ფოშტის ფული უნდა, მისალოცავი, წასაბურავი, ჩასაცმელი, დასახურავი და განა ყველის ჩამოთლა შეიძლება? მაშინ ბატონო ვიყავით სამოცი, ოთხმოცი შინაყმა. ზოგი ღორს მეიტანდა, ზოგი ღოშს ქათამს, ინდაურს, ბატს, საკლავს და მთელი დღე და ღამე მრავალ ვამიერ, ცვევა, ხუმრობა იყო. წვეილდა ბატონი სამე და წაგვიყვანდა და ახლა იქინეი კაი უშობელს წკებდენ და გააგორებდენ სახლში ვიყავით შამოგველეოდა წვეილოდით ამაღამ მოვთხრიდით ყაძახს, მოგვყავდა ხარი, ძროხა და კილა ქეიფი და ორომტრიალი იყო.

ვიდქეთ კაისაგან კაი სახაიგრო ადგილში, ზამთარში თუ ორაგვეს ვიყავით სასახლში, ზაფხულში ბახხაროზე, ვაზაფხულზე გომში და სადაც მოვიინდომებდით, რავე ყოლიგან ჩვენი არ იყო? ქე ვიყავით ბატონო ყველაი კარგათ. თავი რავე წამოსტიკედებოდა ვინმეს. ყველაი მღვესავით ყაძახები. ჩვენი ქალი კამბეგს წამეიკედება ზრუგზე ისთე, რომ არც დეიკუთებდა. ახლა შენ ბაღნები იკითხე იმისთანა თოხალ თოხალი ბაღნები იყო, რომ ავი თვალით არ შეეხედებოდა, დღეს გეიხედავ, ბატონო, მიდის ვინცა, შეიდი წლის ბაღნაი გგონია, მიეწვიე ორომოცი წლის ყაძახი მიწის ძალითაი ანია. დეიბადა ბაღნაი ერთი წლის გასვლაში ვერც კი შიატყოფ ყვავის ბარტყაი, ცინტალია თუ დასტურ ბაღნაი და ქალი კი იმდონს კივა დაკრუსუნობს გგონება ბაღნაი კი არა მღვეი ვაკეთათ. სადა ძველათ რომ ღამის თევა იყო მელოგინეს მარტუაი რავე დატუებდენ. ორ კვირებს მაინც იყო ბატონო მთელი ღამე ხაიწის კეთება, ხუმრობა, მასხრობა. „ბერი ჩამოხტა“, „ა ჩიტი“ „ბეჭელობა“ და რა გინდა რა თამაში. ახლა მელო-

გინეს მოსვენება უნდა ნერტა და მღვეილდესო და და სიხლოვეს არ ვაკარებენ. გეიხედავ, ბატონო, დუჟილია ყაძახს კნაზურათ ლეკური, სატეგარი ლევერი, ჩაუცვამს შარვალი, წაღები, თავზე ბოხობი, ერთი მაშინ გიებედა შარვლის და წაღების ჩაცმა და ლეკურის გადაკიდებ და, ნახავდა რაეი ჩამცმელი იყო. სადაა ახლა პირი? მაშინ ბატონი ნუ მომიკედებო რომ დევიფიკებდით გთავდა, კვერცხივით შეეასკედებოდით ვინც უნდა ყოვილიყო ჩვენი ბატონის მტერი და ორგული. აწი ხუმრობას არ იტყვი? მახსოვს ერთი აფრასუხაი იყო, გვარი ახლაც არ ვიცი, აფრასუხა ხუმარას უძახოდენ. მევიდოდა ბატონო და ჩვენ ბატონთან რომ მეიჯერებდა გულს ხუმრობა საჩუქრებით ახლა დადიანებში წვეილოდა, იქინეიც იცნობდენ. ერთი, აღდგომა წინდით მივიდა თურმე იქინეი. იმ საღამოს ბევრი ისაუბრეს და მოსასვენებლათ ყველაი გვიან დაწვენ. დადიანისას უწინ ჩვეულება ქონდათ აღდგომის წინ შვა ღამეზე სასახლის ეკლესია უნდა გვენათეობათ: სახურავზე, ძირს და შვა ალაგას. ახლო-ახლო ფისით საფსე ქოთნებს დგამდენ და შვა ღამეზე უჟუკედებდენ. რომ დაწვენ, ჯერ ქოთნები არ იყო აკიდებულნი, მარა ბევრი დროც არ იყო დარჩენილი. აფრასუხამ რომ იფიქრა ახლა კი იქნებიან სასახლეში მიძინებულო, ჩუმათაი კარში გამევიდა. მართლაც ყველას ეძინა და ქოთნებიც ანთებულნი იყო. მორათო ყვირილი:

— დევიწვით ბატონო, სახტარი იწვის ვინ ხარ ქრისტიანი გვიშველეთო. მიაშურა საჯალაბოს ახლა იქინეი წამოყარა შინა ყმები. დარბის აი უტფათ გამოღვიძებული ხალხი, არ იცის რაშია საქმე. შეიქნა კვილი, ძახილი, წყევლა, ვაი უშველებელი; გამუარდა დედუფალი იუპკის ამარა დადიანი პერანგით. სადაა ცეცხლი? ეგერ ბატონო საყტარი იწვისო. მაშინვე გეიგო დადიანმა აფრასუხას ოინები, მარა რადია... იმ ღამეს უძინარი დარჩენ. მაგიორში აფრასუხა წირვანე რომ წვეიდა სანთელი მისცეს, მივიდა ერთ ხატთან, დეი-

წერა პიჯვარი, ქნა მეტრნია და სანთელი ანთო, უნდა ახლა რომ სასანთლეზე მიაწებოს სანთელი გაქრა, ახლა მეორე ხატთან მივიდა იქინეც ისეთ მეტრანიე ქნა, ანთო, მიწებება ვერ მისწრო გაქრა. ასეთ შვიდ რვა ხატამდი ჩამეიარა, ბოლოს ჩეიდე თურმე ჯიბეში და ხმა მალდა ყველის გასგონათ თქვა: ღმერთმა კი იცის, მე გულით მინდოდა შამომეწირა თქვენთვის და თუ არ მიიღებთ რა ვქნა ახლაო. თურმე იმ ღამეს მოტყუების მაგორში მის სანთელს განგებ შალის გული გაუკეთეს. დაყარეს აფრასუხას სიცილი, მარა დანდინმა მაინც სადილზე რომ დაჯდენ ცხენი აჩუქა. აფრასუხას სადილის გათავებშიზა აღარ უცდია:

— ამას აქედან მეგრელები რას გამატანს, ახლავე თვარ წვიყვიანო და მოცოცხა მაშინათვე გურიისაკენ. ბევრი უყვირეს თურმე: „ვარ გუუტუა ჯიმა ეშმაკი ქორთუო“, მარა მას უკან აღარ მუუხედავს ისევე გურიელს მუუშურო.

მოავლო ბატონო სასახლის ბალკონთან აი არის იცის, ეგება ისევე გურიიდან წაყვანილი ცხენი: არის სასახლეში სერესკელი ხალხი, ქეფისიმდერა. ახლაც ყურში მესმის მელქისაის რაკრაკა გამყვივანი ასეთ გეგონებოდა ენის კოლტესთან სალომური აქ ჩადგმულიო. ახლა შენ ლუკაიეის ბანი იკითხე, რომ დადგამდა ბატონო გოდრიით რა ჯობდა იმის ყურებას. ხო და მევიდა ბატონო აფრასუხაი სასახლეში. ჯერ თავდახრილი გურიელის და დედოფალის წინ გაჩერდა. გურიელმა და დედოფალმა ქრისტე აღსდგა მიულოცეს. ხელათ აფრასუხას ულუფა მიართვეს. გურიელმა თავის სუფრიდან კიდევ ქათმის კისერი და ჯლიგვი მუუქითხა. გაჩაღდა ბატონო: ქრისტე აღსდგა, იაგუნდის მარანში და რა გინდა სულო და გულო სიმღერები. მერე გურიელმა აფრასუხას უბძანა ახლა შენ იმდერეო. მაცა ბატონო ჯერ არ გავმძღარვარო. გურიელი არ მიეშვა აბა კი ვიტყვი მარა ყველამ უნდა იმდეროთო. კიო გურიელმა ბატონისანი სიტყვა მისცა. აბა ბატონო

აღდგომასა ვივლობოთო, დასწრება გურიელი. ჯერ სიტყვები ჯერ სიტყვები დესიტავლეთა და მერე დევიწყოვო. აღდგომასა სიტყვებს რა სტავლა მინდა ისეც ზებირათ გიცოო.

— არა, ბატონო, მე ახალ აღდგომასა შენსა მოგახსენებო. იფიქრეს ალბად სამეგრელოში ისტავლიდაო. დაყენა აფრასუხამ ფეხზე გურიელი დედოფალი და ყველა იქ მყოფი თავად აზნაურობა.

— აბა თქვით: „აღდგომასა გემიორა ყველამ აღდგომასა, „დედოფალსა ჩვენსა“ გაიმეორეს დედოფალსა ჩვენსა, „აფრასუხა . . . . .“ აფრასუხა. . . . . სიტყვა არ ქონდენ თლათ გათავებული უიო იკიელა დედოფალმა, რა თავს იგდებო მიაყვირა გურიელმა.

არ გუუშვათ, არ გუუშვათო, მარა აფრასუხაი ისევე მოხტომია თავის ბაჩას და მიაქროლებს თავდამართში..

ხო და ქე ვიყავით ბატონო ამ დღეთს გაჩენილ ქვეყანაზე ყველი მოღბნით. აი ცოლშვილიანი ყაბახეი ვთამაშობდით ქაკუნს, ჯაფარაკს, ახლა აფრასუხათ ბატონო აი უჯმაჯურიძის მუტაკეი ყაბახი მამასახლისათ. ძველი ღროი რომ იყოს მგ თირიქელას მამასახლისათ კი არა ჩვენთან არც კი გავარუნებთ. ახლა კი ისე შამობრძანდება კანცალარიაში, ვითამ გურიელი მაგი იყოს და მე მისი ყმის მოჯალამე.. დეილოცა ღმერთო შენი სამართალი. ამასაც თუ შევესწრებოდი აღარ მეგონა სწორეთ.

ღია.





# ფოტო

ჩვენ არა ერთხელ განგვიცხადებია, რომ ჟურნალში სახუმარო შინაარსის წერილები იბეჭდება. შემდეგ ისათვის ეგ იქონიეთ სახეში.

**ბ-ნს ლ. თეალოთელს.** თქვენი წერილის ბოლოში პატარა პრინციპიალური შეცდომაა. თქვენ იყენებთ: „იძულებული შევიქნენ გამოგვზავნა თქვენთვის ეს ლექსები; იმედია არ გეწყინებათ, მით უმეტეს, რომ მწამს ნაგვის გოდორი ახლო გექნებათ“. მოგახსენებთ, რომ უვარგას ლექსებს ჩვენ „ნაგვის გოდორში“ კი არა ვყრით, არამედ „სარდაქიო კალათში“. იქ გაცილებით უკეთესი ატმოსფერა და წესწყობილებაა, ვიდრე „ნაგვის გოდორში“

ეკრძოთ თქვენი ლექსების შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ თუ იმათაც ტრადიციული ბედი ეწიათ, მხოლოდ მათი სერიოზული კილოს მიზეზით.

**გოლგოთელს.** სამწუხაროთ თქვენი „სცენა“ ვერ დაიბეჭდება, ვინაიდან ამჟამად საგანზე წინა ნომერში დაიბეჭდა განსაკუთრებული წერილი. თუ ჩვენი ჟურნალის თანამშრომლობა განვიზრახავთ მტიციეთ მისდინეთ სოლომონ ზურგიელიძის ამ საპროგრამო აფორიზმს:

„სიცილი უფრო სხვა არის ვიდრე ტირილი კურცხლითო; იქ წყალი მოგვდის თვალიდან, აქ კი ვიცინით: ხა, ხა, ხა!“

ამგვართ მეტი იუმორი, მეტი სიცილი, ხოლო ნაკლები მოთქმა და ნაკლები ცრემლები.

## ყოველ-კვირული იუმორისტული გამოცემა

# ეშმაკი

მიიღება ხელისმოწერა 1917 წლისათვის

ჟურნალის ფასი: 12 თვით 7 შ. —  
6 თვით 4 შ. — კ.  
3 თვით 2 შ. — კ.  
1 თვით — 70 კ.

ეშმაკის მათრახში დაიბეჭდება მხოლოდ იუმორის-ტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვებსებიდა სხვა.

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებს ეშმაკი, ხოლო გამოცემის საქმეს ახდობს „განათლებლა“

რედაქცია სთხოვს როგორც თანამშრომლებს, ისე ხელის მომწერლებს რომ მასალები და ფული ამ აღრესზე: გამოგვზავნონ Тифლისь, С. Р. Таварტიладзе, Ольгинская, 6, поч. ящ. № 96.